

**შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად**

თბილისი

2023

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2023 წლის 29 ივნისს:

დირექტორი -----

ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი -----

ნათელა კალანდაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი – 415082608) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო

შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

29 ივნისი, 2023 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 926 938	1 120 121	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	8 545 913	12 611 602	3.2.
მარაგები	18 246 726	21 211 995	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	3 764 650	13 043 584	3.4.
საგადასახადო აქტივები	-	68 691	3.9.
სხვა მიმდინარე აქტივები	143 084	783 702	3.5.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	32 627 310	48 839 695	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	14 730 624	11 757 211	3.6.
არამატერიალური აქტივები	26 101	15 857	
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	238 451	189 383	3.7.
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	187 987	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	14 995 177	12 150 437	
აქტივები სულ:	47 622 487	60 990 132	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	2 036 943	5 161 260	3.8.
საგადასახადო ვალდებულებები	99 654	-	3.9.
მოკლევადიანი სესხები	30 391 157	36 060 536	3.10.
სახელშეკრულებო ვალდებულებები	215 253	1 206 840	3.15.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5 233	5 087	3.11.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	32 748 241	42 433 722	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	4 717 773	4 055 573	3.12.
გადავადებული შემოსავალი	-	500 000	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	3 172 048	3 172 048	3.13.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	7 889 821	7 727 622	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	3.14.
დაგროვილი მოგება	6 984 425	10 828 789	
კაპიტალი სულ:	6 984 425	10 828 789	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	47 622 487	60 990 132	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	189 146 957	126 146 230	3.15.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(174 679 666)	(110 669 061)	3.16.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	14 467 291	15 477 169	
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	(4 135 324)	(2 318 633)	3.17.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 985 577)	(1 639 273)	3.18.
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2 638 558)	(2 116 229)	3.19.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 707 832	9 403 034	
ფინანსური შემოსავალი	236	-	
ფინანსური ხარჯი	(3 752 834)	(2 173 882)	3.20.
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	3 733 120	(24 254)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 807 824	842 919	3.21.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(4 335 492)	(550 608)	3.22.
მოგება დაბეგვრამდე	3 160 686	7 497 208	
მოგების გადასახადის ხარჯი	(549 345)	(136 745)	
წლის წმინდა მოგება	2 611 341	7 360 462	
წლის სრული შემოსავალი	2 611 341	7 360 462	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2020-სთვის	6 157 731	6 157 731
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	7 360 462	7 360 462
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 518 193	13 518 193
განაწილებული დივიდენდი	(2 689 404)	(2 689 404)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	(2 689 404)	(2 689 404)
ნაშთი 31.12.2021-სთვის	10 828 789	10 828 789
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2 611 341	2 611 341
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 440 130	13 440 130
განაწილებული დივიდენდი	(6 455 705)	(6 455 705)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	(6 455 705)	(6 455 705)
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 984 425	6 984 425

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	199 248 175	130 725 492	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	544 119	92 974	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(167 633 309)	(114 310 185)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1 360 354)	(981 340)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	1 439	(2 058)	
გადახდილი გადასახადები	(14 313 813)	(13 992 034)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1 363 059)	(756 315)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	15 123 199	776 535	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(4 901 955)	(6 070 765)	
მიღებული პროცენტები	236	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 901 719)	(6 070 765)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	96 710 885	103 315 576	
სესხების დაფარვა	(96 602 623)	(97 428 154)	
გადახდილი პროცენტები	(2 979 735)	(1 896 015)	3.23.
გადახდილი დივიდენდები	(6 300 056)	(2 650 660)	
მიღებული გრანტები	-	500 000	
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(6 000)	(112 286)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(9 177 529)	1 728 462	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(237 134)	(19 416)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	806 816	(3 585 184)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1 120 121	4 705 305	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 926 938	1 120 121	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“-ს (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ დარეგისტრებულია 2011 წლის 06 ივნისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 415082608, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ., №61. დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:

შპს „აგრიკომი“ (ს/კ 205090159), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 50%; საბოლოო ბენეფიციარ მფლობელს 100%-იანი წილით წარმოადგენს კონსტანტინე ოსიპოვი.

შპს „თაურ ქეფითელ თრეიდიგ“ (TOWER CAPITAL TRADING) (ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 1646564), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 50%. საბოლოო ბენეფიციარ მფლობელს 50%-იანი წილით წარმოადგენს ალექსეი ჩემერიჩკო (რუსეთი) და 50%-იანი წილით მარატ შაიდაევი (რუსეთი).

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;
ბ) კომპანიის მართვასა და მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი არის სამეთვალყურეო საბჭო;

გ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება მმართველი გუნდის მიერ, რომელიც შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ფინანსური დირექტორისგან.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი – ქეთევან კუბლაშვილი და დირექტორის მოადგილე – აბას მამედოვი.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

1.5. კომპანიას არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

სილოსებით მარცვლეულის შენახვის მომსახურება; ტვირთებთან დაკავშირებული ჩატვირთვა-გადმოტვირთვის მომსახურება; მარცვლეულით (ძირითადად ხორბლით, მზესუმზირის და სოიოს შროტით) საბითუმო ვაჭრობა.

1.7. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ

განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ კომპანიებს შორის.

1.8. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2016 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) სრული ვერსიის მიხედვით.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს, აღირიცხება გარიგების ღირებულებით (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდის საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

მომსახურების გაწევა. კომპანია უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას კლიენტებს, მათ შორის იჯარის მომსახურებას, შენახვის მომსახურებას, მარცვლეულის ამოტვირთა/გადატვირთვის მომსახურებას. ამონაგები მიწოდებული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელთა მიხედვით საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. აღნიშნულის გამო, კომპანია არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტაში ასახული ფულადი მუხლების გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება დასაქმებულ პირთაგან წარსულში მიღებული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება – 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე – 10%-დან 70%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 20%;
სატრანსპორტო საშუალებები, გარდა სპეციალური	
დანაშინულების სატრანსპორტო საშუალებებისა	- 20%;
სპეციალური დანაშინულების სატრანსპორტო საშუალებები	- 8%
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა	- 25%
ავეჯი და ინვენტარი	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 8%-25%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლებოდა საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი საქმიანობის მიმდევარი კომპანიებისა (მაგალითად, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი სუბიექტები და სხვ.), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: **1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.**

2021 წელს: **1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.**

2.8. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით და ჯერ არ არის დანერგილი

- სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა:

(i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით;

მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია)

(ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო

ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება – შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით – 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები** – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა

გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან – ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები – გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 926 938	1 120 121
	<u>1 926 938</u>	<u>1 120 121</u>

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ადგილობრივი დამკვეთები	8 527 621	13 287 830
არარეზიდენტი დამკვეთები	645 660	241 334
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(627 368)	(917 562)
	8 545 913	12 611 602

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გასაყიდად გამიზნული საქონელი	18 236 064	21 205 926
სხვა მარაგები	10 663	6 069
	18 246 726	21 211 995

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გადახდილი ავანსები	3 761 065	13 019 202
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	3 585	24 381
	3 764 650	13 043 584

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	548 275
მისაღები თანადაფინანსების პროცენტები	46 990	-
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	5 982	515
მისაღები ჯარიმა	90 112	46 926
წილის გასხვისებიდან მისაღები ანაზღაურება	-	187 987
	143 084	783 702

3.6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავიჯი (GEL)	სხვა (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 981 682	378 226	1 366 306	91 795	17 260	3 930	859 751	15 857	13 714 806
დამატება	2 925 578	321 397	-	11 444	-	-	406 038	10 245	3 674 702
(შემცირება)	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13 907 260	699 622	1 366 306	103 239	17 260	3 930	1 265 789	26 101	17 389 507
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	824 373	150 296	125 736	46 941	13 360	3 909	777 123	-	1 941 738
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	394 243	72 875	126 404	14 135	1 038	20	82 327	-	691 044
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 218 617	223 171	252 140	61 076	14 398	3 930	859 450	-	2 632 782
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12 688 643	476 452	1 114 165	42 163	2 862	0	406 339	26 101	14 756 726

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპო- რტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი	სხვა	არამატერიალ- ური აქტივები	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 418 585	232 852	124 207	61 946	14 887	3 930	859 183	84 732	7 800 322
დამატება	4 563 097	155 374	1 242 099	29 849	2 373	-	568	-	5 993 359
(შემცირება)	-	(10 000)	-	-	-	-	-	(68 876)	(78 876)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 981 682	378 226	1 366 306	91 795	17 260	3 930	859 751	15 857	13 714 806
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	635 337	104 074	97 601	37 710	12 203	3 872	737 910	-	1 628 706
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	189 037	51 388	28 135	9 232	1 157	37	39 213	-	318 198
ჩამოწერა	-	(5 167)	-	-	-	-	-	-	(5 167)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	824 373	150 296	125 736	46 941	13 360	3 909	777 123	-	1 941 738
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 157 309	227 930	1 240 570	44 854	3 901	20	82 628	15 857	11 773 068

კომპანიამ უძრავი და ზოგიერთი მოძრავი ქონებისთვის გამოიყენა ფასს 1-ით განსაზღვრული დასაშვები საწყისი ღირებულება, რა მიზნითაც მოახდინა მათი შეფასება 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით მოწვეული აკრედიტებული შემფასებლის შესაბამისი საშემფასებლო დასკვნის საფუძველზე.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის უძრავ ქონებას (ქალაქი ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. #61, ს.კ. 04.01.07.913) ადევს იპოთეკა:

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება 17.08.2021 წ. მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დანართი 19.08.2021 წ., მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება 30.09.2021 წ., მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება 25.01.2022 წ., წერილი #001_0366 17.08.2022 წ., იპოთეკის გაუქმება 23.08.2022წ., შეთანხმება 17.08.2021 წ. იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 23.08.2022 წ.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება 20.08.2021 წ.

სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება 18.04.2022 წ.

მესაკუთრე აგრეთვე არ არის უფლებამოსილი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იპოთეკის საგანი დატვირთოს აღნაგობის უფლებით. იპოთეკის ხელშეკრულება 17.08.2021 წ.

3.7. გამოყენების უფლების მქონე აქტივი:

საიჯარო საქმიანობის ხასიათი

იჯარით აღებულია ფართი, რომელსაც იყენებს კომპანია ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

	2022 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2021	189 383
აქტივების გამოყენების უფლების მატება	98 884
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(49 816)
სულ ხარჯები:	(49 816)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(49 816)
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2022	238 451
ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	212 446
საიჯარო ვალდებულების მატება	98 884
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	50 533
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში	(4 126)
აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	
სულ ხარჯები:	46 407
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	46 407
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(77 424)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2022	280 313

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
0	72348	274 392

	2021 წელი
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2020	72 307
აქტივების გამოყენების უფლების მატება	180 204
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(63 128)
სულ ხარჯები:	(63 128)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის	(63 128)
ხარჯად	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2021	189 383

ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2020	84 480
საიჯარო ვალდებულების მატება	180 188
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	40 297
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში	-
აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	
სულ ხარჯები:	40 297
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	40 297
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(92 518)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	212 446

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი		
ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე
0	81842	163 685

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
რეზიდენტი კომპანიები	1 949 314	4 900 356
რეზიდენტი ფიზიკური პირები	34 191	28 872
არარეზიდენტი კომპანიები	53 439	232 032
	2 036 943	5 161 260

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	193 076	482 768
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(91 363)	(480 025)
მიღებულ ავანსებზე გადახდილი დღგ	-	90 755
გადახდილი ავანსების გამო დასარიცხი დღგ-ის ვალდებულება	(201 366)	(24 807)
	(99 654)	68 691

3.10. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (მირი)	30 043 960	35 890 299
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	347 197	170 237
	30 391 157	36 060 536

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე – მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (ს/კ 202906427), რომლის საფუძველია:

- დეპოზიტის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 13.09.2019). გირავნობის საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ სს „ვითიბი ბანკის“ ფილიალში ანგარიშზე განთავსებული დეპოზიტის თანხა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი სრულად, რომლის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 499 500 (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარს. გირავნობით უზრუნველყოფილია 13.09.2019 წელს გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნა. გირავნობით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტია 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი.
- მოძრავი ნივთ(ებ)ის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 22.07.2021). გირავნობის საგანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების მოძრავი ნივთები.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 23.08.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებული კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (ს/კ 202906427) და სს „თიბისი ბანკს“ (ს/კ 204854595) რომლის საფუძველია:

- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 15.09.2021. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211012783, 14.09.2021). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.
- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 15.09.2021. გირავნობის ხელშეკრულება №2, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211012894, 14.09.2021). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს შპს „აგრიკომს“ (ს/კ 205090159), რომლის საფუძველია:

- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 17.09.2021წ. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211014087). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს

„თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.

- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 19.04.2022წ. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211014087 11.04.2022წ). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.
- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 04.08.2022წ. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211014087, 03.06.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკს“ (ს/კ 204854595), რომლის საფუძველია:

- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 09.06.2022წ. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 211014087 11.04.2022წ). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „აგრიკომის“ (ს/ნ 205090159) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.
- გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 ქვეპუნქტში აღწერილი არსებული და სამომავლო დებიტორული მოთხოვნის უფლებები ყველა და ნებისმიერი პირის მიმართ. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 09.06.2022);
- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 01.08.2022წ. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 11.04.2022, წილის გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ – 03.06.2022წ.). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 23.08.2022). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში მითითებული კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება სრულად. გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი დავით იმნაძე, 11.04.2022წ. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 23.08.2022წ.
- იურიდიული პირის კაპიტალში წილის გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 26.06.2022წ. გირავნობის ხელშეკრულება). გირავნობის საგანს წარმოადგენს შპს „თაუერ ქეფითელ თრეიდინგის“ (ს/ნ 1646564) საკუთრებაში არსებული 50% წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ (ს/ნ 415082608) კაპიტალში.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 17.08.2021). გირავნობის საგანს წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებული კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება (მატერიალური სასაქონლო მარაგები). მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დანართი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 05.10.2021); მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების

შეთანხმება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 25.01.2022). გირავნობის უფლების რეგისტრაციის გაუქმება სს „პაშა ბანკი საქართველო“ 31.08.2022, წერილი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 4292 – 26.09.2022წ.

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების გირავნობის ხელშეკრულება, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, 31.07.2020წ. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 31.07.2020). მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დანართი 16.12.2020 (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 16.12.2020), მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დანართი 30.09.2021 (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 30.09.2021), მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება 30.09.2021წ. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 30.09.2021). წერილი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 4291 – 26.09.2022წ. წერილი სს „იშბანკი საქართველო“ EA-662/1029 – 28.09.2022წ.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების გირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 29.05.2020). მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დანართი 31.07.2020, მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება 30.09.2021წ. მოთხოვნის დათმობისა და თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება 25.01.2022წ. წერილი სს „ვითი ბანკი ჯორჯია“ 4291 – 26.09.2022წ. წერილი სს „იშბანკი საქართველო“ EA-662/1029 – 28.09.2022წ.

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5 233	5 087
	5 233	5 087

3.12. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	4 717 773	4 055 573
	4 717 773	4 055 573

3.13. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გრძელვადიანი დივიდენდი	3 016 046	3 016 046
გადასახდელი მოგების გადასახადის ხარჯი განაწილებული მოგებიდან	156 002	156 002
	3 172 048	3 172 048

3.14. საწესდებო კაპიტალი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ საწესდებო კაპიტალი არ აქვს (ნულია), რაც დაშვებულია საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით.

3.15. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:

	2022 წელი	2021 წელი
გაყიდვები და მომსახურება რეზიდენტ პირებზე	83 619 449	91 221 197
გაყიდვები სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში	213 045	-
გაყიდვები ექსპორტზე	24 295 216	1 420 280
რეექსპორტი	59 882 829	26 615 350
მომსახურება არარეზიდენტ პირებზე	20 474 413	6 841 840
საიჯარო შემოსავალი	662 005	47 563
	189 146 957	126 146 230

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2022	2021
01 იანვარი	1 206 840	2 349 419
აღიარებული ამონაგები	(1 116 085)	(2 030 634)
აღიარებული ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადი	(90 755)	(318 785)
მიღებული ავანსი გადასახადის ჩათვლით	215 253	1 206 840
31 დეკემბერი	215 253	1 206 840

3.16. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2022 წელი	2021 წელი
მარაგები	159 168 282	105 197 033
ტვირთის მომსახურების ხარჯი	8 230 606	2 259 021
გადაზიდვის მომსახურების ხარჯი	7 280 778	3 213 008
	174 679 666	110 669 061

3.17. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
მარცვლეულის მიზარება/შენახვის ხარჯები	1 480 649	1 453 900
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	1 094 515	133 083
ტრანსპორტირების ხარჯები	1 056 635	616 498
გირაოს მმართველის ხარჯები	107 296	74 391
ექსპორტთან და რეექსპორტთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ხარჯები	396 229	23 945
სხვა გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	-	16 816
	4 135 324	2 318 633

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
თანამშრომელთა ანაზღაურება	1 289 677	1 140 267
საკანცელარიო ხარჯი	7 573	4 461
კომუნიკაციის ხარჯები	17 197	16 176
კომუნალური ხარჯები	7 858	6 739
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	25 500	22 034
დაცვის ხარჯები	31 031	-
საბანკო ხარჯები	305 894	208 913
დაზღვევის ხარჯები	40 699	15 896
მივლინების ხარჯები	30 901	5 451
წარმომადგენლობითი ხარჯები	6 241	5 130
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	24 354	7 251
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	49 816	63 128
საქველმოქმედო ხარჯები	12 653	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	136 183	143 827
	1 985 577	1 639 273

3.19. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
სახელფასო ხარჯები	523 596	257 774
ცვეთის ხარჯები	691 044	318 197
ბუნებრივი დანაკარგები და წონის სხვაობები	1 211 211	511 935
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(290 193)	795 072
ელექტროენერგიის ხარჯი	109 311	70 998
საწვავის ხარჯები	65 024	29 711
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	131 775	41 658
საგადასახადო ხარჯები	112 536	67 724
სხვა საოპერაციო ხარჯი	84 254	23 159
	2 638 558	2 116 229

3.20. ფინანსური ხარჯი:

	2022 წელი	2021 წელი
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	3 702 301	2 133 585
ფინანსური იჯარა	50 533	40 297
	3 752 834	2 173 882

3.21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2022 წელი	2021 წელი
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მოგება	-	1 757
თანადაფინანსების თანხა	1 110 019	176 941
შეღავათი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო	-	23 404
მიღებული ჯარიმები და საურავები	676 648	181 560
წილის გასხვისება	-	375 973
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21 157	83 284
	1 807 824	842 919

3.22. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2022 წელი	2021 წელი
სხვა აქტივების გაუფასურების ხარჯი	416 906	-
ტოპ მენეჯმენტის პრემია	1 168 932	546 301
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	2 749 625	2 506
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	30	1 801
	4 335 492	550 608

3.23. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესიო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა / გამომუშავება	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესიო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	39 945 872	96 602 623	-	7 880 576	96 710 885	-	2 588 175	34 761 733
გადახდილი დივიდენდები	3 016 046	6 455 705	-	-	-	6 455 705	-	3 016 046
მიღებული გრანტები	500 000	-	500 000	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	212 446	26 891	-	4 126	-	98 884	-	280 313
სულ:	43 674 364	103 085 219	500 000	7 884 703	96 710 885	6 554 589	2 588 175	38 058 092

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	170 237	3 507 594	17 746	3 702 301	-	347 197
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	-	50 533	-	50 533	-	-
სულ:	170 237	3 558 127	17 746	3 752 834	-	347 197

სასესიო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა / გამომუშავება	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესიო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	34 569 086	97 428 154	-	2 300 109	103 315 576	-	1 789 472	39 945 872
გადახდილი დივიდენდები	3 016 046	2 689 404	-	-	-	2 689 404	-	3 016 046
მიღებული გრანტები	-	-	-	-	500 000	-	-	500 000
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	78 741	46 482	-	-	-	180 188	-	212 446
სულ:	37 663 873	100 164 041	-	2 300 109	103 815 576	2 869 592	1 789 472	43 674 364

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	59 949	2 072 956	3 268	2 186 511	-	170 237
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	5 739	46 036	-	40 297	-	-
სულ:	65 688	2 118 992	3 268	2 226 808	-	170 237

3.24. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.25. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აცნობიერებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რისთვისაც შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკა, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებს გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორულ დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით.

კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, ფასს 9-ს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანიამ მოახდინა სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

31.12.2022

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო)	2 698 436	4 704 379	1 643 941	126 526	9 173 281
საბალანსო ღირებულება	(53 969)	(94 088)	(352 786)	(126 526)	(627 368)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი					
სულ:	2 644 467	4 610 291	1 291 154	0	8 545 913

31.12.2021

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვეზე მეტი ხნით, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო)	3 289 168	7 230 977	2 976 276	32 743	13 529 164
საბალანსო ღირებულება	(57 751)	(420 226)	(406 842)	(32 743)	(917 562)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი					
სულ:	3 231 417	6 810 751	2 569 434	-	12 611 602

წარმოდგენთ გაუფასურების ზარალის შეჯერების ცხრილს:

	2022 წ.	2021 წ.
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	(917 561)	(122 489)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(205 871)	(795 072)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ანულისრება (გადახდის ან უიმედო ვალად აღიარების გამო)	496 064	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	(627 368)	(917 561)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეკმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მათი ვადიანობის მიხედვით.

31.12.2022

	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	8 545 913	-	-	8 545 913
გაცემული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	2 036 943	-	-	2 036 943
ნასესხები თანხები	29 483 690	907 467	4 717 773	35 108 930
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	40 066 546	907 467	4 717 773	45 691 786

31.12.2021

	0 - 6 თვე	6 - 12 თვე	1-დან 5 წელამდე	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	12 611 602	-	-	12 611 602
გაცემული სესხები	-	548 275	-	548 275
სავაჭრო ვალდებულებები	5 161 260	-	-	5 161 260
ნასესხები თანხები	35 560 314	500 221	4 055 573	40 116 109
მოსალოდნელი საპროცენტო დანაკარგი	53 333 176	1 048 496	4 055 573	58 437 246

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

რაოდენობრივი ანალიზი საპროცენტო რისკებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, რადგან 2022 წლის ბოლოს აქვს სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ – „ვითიბი ბანკის“ და „თიბისი ბანკის“ წინაშე და აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შეცვლა არ არის მოსალოდნელი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2022 წ.

	EURO	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115	1 216	-	1 331
სავაჭრო მოთხოვნები	-	8 649 274	-	8 649 274
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	-	3 067 254	2 305	3 069 559
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	115	11 717 744	2 305	11 720 164
სავაჭრო ვალდებულებები	-	218 140	-	218 140
მოკლევადიანი სესხები	-	254 659	-	254 659
ვალდებულებები სულ:	-	472 799	-	472 799
ნეტო შედეგი	115	11 244 945	2 305	11 247 365
Euro (10% ცვლილება)		11		
USD (10% ცვლილება)		1 124 495		
RUB (10% ცვლილება)		231		

31 დეკემბერი, 2021 წ.

	EURO	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	186	1 050 140	-	1 050 326
სავაჭრო მოთხოვნები	-	13 491 921	-	13 491 921
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	-	11 512 207	-	11 512 207
სხვა მიმდინარე აქტივები	-	548 275	-	548 275
აქტივები სულ:	186	26 602 543	-	26 602 729
სავაჭრო ვალდებულებები	232 032	1 036 238	-	1 268 270
მოკლევადიანი სესხები	-	35 534 693	-	35 534 693
ვალდებულებები სულ:	232 032	36 570 931	-	36 802 963
ნეტო შედეგი	(231 846)	(9 968 388)		(10 200 234)
Euro (10% ცვლილება)		(23 185)		
USD (10% ცვლილება)		(996 839)		
RUB (10% ცვლილება)		-		

3.26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო ვალდებულებები	-	261 524
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	-	222 511
სხვა მიმდინარე აქტივები	-	4 600
იჯარა	47 469	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	815 077	-
მივლინება	35 762	-
ადმინისტრაციული ხარჯი	44 502	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო ვალდებულებები	-	97 408
ამონაგები	417	-

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო ვალდებულებები	-	193 657
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	1 692
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	-	172 565
იჯარა	36 831	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	461 756	-
მივლინება	863	-
ადმინისტრაციული ხარჯი	57 522	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	763	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
სავაჭრო ვალდებულებები	-	2 514 667
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	548 275
ამონაგები	2 124	-

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.27. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი – ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები და თვისობრივი სიახლე არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონდა.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონავირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს 2020-2021 წლებში. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის ხემძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

3.28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- 2023 წელს ფოთში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და/ან მის მომიჯნავედ (გრძელვადიანი იჯარის ან აღნაგობის მოპოვების შემთხვევაში) იგეგმება დამატებით ჰორიზონტალური მულტიფუნქციური საწყობის მშენებლობა, სადაც შესაძლებელი იქნება დამატებით 18,000-20,000 ტონამდე ნაყარი ტიპის საქონლის (სოიოს/მზესუმზირის შროტის/შაქრის ლერწმის) შესანახად. ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს პროექტის დამუშავება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება. დოკუმენტაცია უკვე ჩაბარებულია ფოთის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში. ამ დამატებითი საწყობის მშენებლობის გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ სამხრეთ ამერიკიდან შემოტანილი გემის პარტიის მოცულობა გაიზარდა 10,000 ტონიდან 20,000 ტონამდე, რისთვისაც კომპანიას დამატებით ესაჭიროება საცავები, ამჟამად კომპანია იძულებულია, ნამეტი რაოდენობა შეინახოს ფოთის პორტში არსებულ სხვა საწყობებში და ამისათვის გადაიხადოს შესაბამისი საზღაური.

- შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობს (ა) კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან (APM Terminals) და (ბ) სს „საქართველოს რკინიგზასთან“ – სომხეთის მიმართულებით მარცვლეულის გადაზიდვასთან დაკავშირებით.

- 2022 წლის თებერვალში დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელიც ფართომასშტაბიან საომარ კონფლიქტში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. აღნიშნული საომარი მოქმედებების გამო ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა გამოაცხადა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ, მათ შორის რუსულ ბანკებზე, სხვა საწარმოებსა და პირებზე. ომის დაწყების შემდეგ რუსეთში დაეცა ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულებასაც. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, მაგრამ ჰუმანიტარული კრიზისი უკვე დამდგარია და უკრაინამ, რუსეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ უკვე განიცადა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი გავლენის სარწმუნოდ შეფასება, ვინაიდან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკური სიტუაციის მონიტორინგს ახდენს. კომპანია უკრაინაში მიმდინარე ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის 29 ივნისამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 29 ივნისს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 415082608) რეგისტრირებულია 2011 წლის 06 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მარცვლეულით ვაჭრობის სფეროში გამოცდილების მქონე დამფუძნებელი პარტნიორების მიერ, რომლებმაც მიზნად დაისახეს მარცვლეულის ვაჭრობის შედეგად მოგების მიღება.

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:

- შპს „აგრიკომი“ (ს/კოდი 205090159), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 50%;
- შპს „თაურ ქეფითელ თრეიდიგ“ (TOWER CAPITAL TRADING) (ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 1646564), რომელსაც ეკუთვნის კაპიტალში წილის 50%.

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება;
- ბ) კომპანიის მართვასა და მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი არის სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება მმართველი გუნდის მიერ, რომელიც შედგება დირექტორისა და დირექტორის მოადგილისგან;
- დ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არიან: დირექტორი - ქეთევან კუბლაშვილი და დირექტორის მოადგილე - აბას მამედოვი.

დირექტორთან ერთად, ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას იღებს მისი მოადგილე და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო. გარდა ამისა, რიგი საკითხები დელეგირებულია ძირითად გუნდზე, რომელიც შედგება შემდეგი პირებისგან: საზოგადოების მთავარი კომერციული ოფიცერი - ბორის ტოვალიოვი; მთავარი ბუღალტერი - ნათელა კალანდაძე; რომელიც ასევე ასრულებს საგადასახადო და ფინანსურ საკითხებში კონსულტანტის მოვალეობას; საზოგადოების იურისტი - მიხეილ ვაშაკიძე; გაყიდვების მენეჯერი - თამარ გოგოლაშვილი; ტექნიკური დირექტორი - რამაზ ჟამუტაშვილი და ფინანსური ანალიტიკოსი - გიორგი ჯავახიშვილი. ასევე, კომპანიას შემოემატა ილია გრიგოლაშვილი, რომელიც წარმოადგენს დირექტორის აღმასრულებელ მოადგილეს.

ჯგუფის სათავე კომპანიას არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

ჯგუფის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი. ძირითადი სამოქმედო ბაზრებია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნები, უზბეკეთი, ყაზახეთი და თურქმენეთი. შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ წარმოადგენს ხორბლისა და ზეთოვანი კულტურების ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოს ბაზარზე, რომელსაც გააჩნია რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება სომხეთის, აზერბაიჯანის და უზბეკეთის ბაზრებზე კომპანიის მონაწილეობას, „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ წარმოდგენილია როგორც ტვირთის (მარცვლეულის და ზეთოვანი კულტურების (შროტების)) ექსპორტის ან ტრანზიტის განმახორციელებელი კომპანია.

საქართველოს ბაზარზე, კომპანიის კონკურენტები არიან: მარცვლეულის კუთხით - თავად საწისქვილე მეურნეობები, რომლებიც „ფოთის მარცვლეულის ტერმინალიდან“ შესყიდულ რაოდენობებთან ერთად, თავიანთი მოხმარებისათვის საჭირო ხორბლის შესყიდვას აგრეთვე ახდენენ საერთაშორისო ბაზრებზე სხვადასხვა შემსყიდველებისგან, ხოლო შროტების ნაწილში - სხვა იმპორტიორი კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ბაზარზე.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ მდებარეობს ქ. ფოთში, ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მე-15 ნავმისადგომის გასწვრივ და იმავდროულად წარმოადგენს მარცვლეულის შესანახ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს: ერთდროულად 40,000 ტონამდე ხორბლის შესანახ სილოსებს, ნავმისადგომიდან პირდაპირ სილოსებში მიერთებულ რევერსული ტიპის სატრანსპორტო გალერეას, სარკინიგზო ჩიხს, სარკინიგზო და საავტომობილო დამცლელ და მიმღებ კვანძებს, სასასწორე მეურნეობებს და სხვა. ობიექტი მთლიანად წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბაჟო საწყობს, რომელსაც გააჩნია საქმიანობის შესაბამისი ნებართვა. ეს არის რეგიონში არსებული ერთადერთი მარცვლეულის ტერმინალი, რომელსაც აქვს გემიდან-სილოსში (ან სილოსიდან-გემში) მარცვლეულის პირდაპირი ამოტვირთვის/ჩატვირთვის საშუალება.

2022 წლის თებერვალში, ექსპლუატაციაში მიღებული იქნა და ფუნქციონირება დაიწყო კომპანიის მიერ 2021-22 წწ აშენებულმა მაღალტექნოლოგიურმა მულტიფუნქციურმა საწყობმა. საწყობი აშენდა შპს „ანაგის“ მიერ, ხოლო ტექნოლოგიური ნაწილის დაგეგმვა/მოწოდება მოხდა პარტნიორი კომპანია AGRIMAC-ის მიერ.

2021 წლის დეკემბერში, საწყობში განთავსდა სამხრეთ ამერიკიდან, საოკეანო გემით შემოტანილი 10,000 ტონიანი სოიოს შროტის პარტიის ნაწილი. შროტის შემთხვევაში, საწყობის შესანახმა მოცულობამ შეადგინა 7,000 ტონა. საწყობში შროტების მიღება ხდება პორტში, გემიდან (გრეიფერით) პირდაპირ ა/მანქანაზე

საქონლის დატვირთვით, ხოლო შემდგომ, კომპანიის ტერიტორიაზე ახლადმოწყობილი საწყობის მიმღები ორმოს გამოყენებით; ორმოდან კი საქონელი მიეწოდება საწყობში არსებულ ნორიოს, რომელიც შემდეგ კონვეიერული სისტემით ახდენს შროტის დაყრას სასურველ ადგილას.

2022 წელს კომპანიამ დაიწყო ტერმინალის ტერიტორიაზე დამატებითი სარკინიგზო ხაზების და სარკინიგზო დამტვირთელის მშენებლობა. ამ მშენებლობას ახორციელებს კომპანია ICMG და მისი დასრულება იგეგმება 2023 წლის ივლისის ბოლოს, რის შემდეგაც ფოთის მარცვლეულის ტერმინალი შეძლებს ახალი საწყობიდან ცალკე ხაზით (მარცვლეულისგან განცალკევებულად) დატვირთოს სარკინიგზო ვაგონები სომხეთის, აზერბაიჯანის და შუა აზიის ქვეყნების მიმართულებით. მენეჯმენტის აზრით, ეს ინფრასტრუქტურა მეტად შეუწყობს ხელს კომპანიის გაყიდვების გაუმჯობესებას, რადგან დატვირთის დროს არ გადაიკვეთება შროტების და მარცვლეულის მიღება-დაცლის პროცესები.

2023 წელს იგეგმება კიდევ ახალი ჰორიზონტალური ტიპის სასაწყობე მეურნეობის მშენებლობის დაწყება, რომელიც განლაგებული იქნება არსებული 8 ათ. ტონიანი საწყობის გვერდზე, თუმცა მისი მოცულობიდან გამომდინარე, შეძლებს დაიტოვოს 18 ათ. ტონა. საწყობის მშენებლობას კვლავ განახორციელებს კომპანია „ანაგი“. მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2023 წლის აგვისტოში და მის დასრულებას დასჭრდება 15 თვე. პროექტის დაფინანსება იგეგმება „თიბისი ბანკის“ სესხით, ხოლო სესხის სუბსიდირება - სოფლის განვითარების სააგენტოს მხრიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი სამშენებლო პროცესის დასრულების შემდეგ, 2024 წელს კომპანიას ექნება საშუალება დამოუკიდებლად (სხვა დამატებითი შენახვის ხარჯების გაღების გარეშე) მიიღოს და დააბინაოს სამხრეთ ამერიკიდან მიღებული 20 ათ. ტონიანი სოიოს შროტის გემი, რითაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თავის ფინანსურ მდგომარეობას.

2022 წლის 20 იანვრიდან შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ მიერ 1 კალენდარული წლის განმავლობაში სადგურ ფოთიდან სადგურ სადახლოს გავლით განხორციელდა 80 ათასი და მეტი ტონა ხორბლის, მარცვლეულისა და შროტის გადაზიდვა. შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2022 წლის 1 იანვრის „სატვირთო გადაზიდვების ტარიფებსა და დამატებით საფასურებში“ შესული ცვლილებების თანხმად კომპანიაზე გავრცელდა მოცულობითი ტარიფი ტონაზე 12.38 აშშ დოლარის ოდენობით (მუხლი VII, პუნქტი 14), ნაცვლად 17.55 აშშ დოლარისა (განსხვავებამ შეადგინა 5.15 აშშ დოლარი ტონაზე). აღნიშნულმა ცვლილებებმა კომპანიას უდავოდ მისცა დადებითი შედეგი და დადგენილი პერიოდის განმავლობაში შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ გააგრძელა სომხეთის დანიშნულებით მარცვლეულის და შროტების ტრანზიტი რკინიგზის გამოყენებით. ტვირთის მოცულობასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა.

2022 წლის 24 თებერვლის რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაზე განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის აქტის გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოშიც. კომპანიას პირველ რიგში მოუწია აქტიური

სასესხო ვალდებულებების ნაწილობრივი გადატანა სს „თიბისი ბანკში“. თუმცა ფინანსური ვალდებულებების ნაწილი მაინც დარჩა სს „ვითიბი ბანკ საქართველოში“ და მენეჯმენტი ელოდება ამ ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულ ხედვას. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება გადაწყვეტილების მიღება „ვითიბი ბანკ საქართველოში“ დარჩენილი ვალდებულებების სხვა ფინანსურ ინსტიტუტში გადატანის თაობაზე.

სამხრეთ ამერიკიდან, დიდი გემებით სოიოს შროტის მიღება წარმოადგენს სიახლეს რეგიონალურ ბაზარზე და კომპანიას აძლევს კონკურენტულ უპირატესობას. ასეთი ოპერაციების დაფინანსება ხდება „ვაჭრობის ფინანსირებით“, რაც 2022 წელს განხორციელდა სს „თიბისი ბანკთან“ ერთად.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ ტერიტორიაზე არსებული მარცვალშესანახი ინფრასტრუქტურა, კომპანიამ კაპიტალში მიიღო/შეიძინა 2011 წლის ივნისს. აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს პროფილურ აქტივს, რაც კონკურენტულ პრიორიტეტს ანიჭებს კომპანიას, ზრდის მის ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს და ამცირებს ხარჯვით კოეფიციენტებს. „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“, როგორც ცალკე ორგანიზაციული სტრუქტურა, ჩამოყალიბდა 2011 წელს. ტერმინალი, მარცვლეულის ნაწილში, წარმოადგენს ძირითად სატრანზიტო ერთეულს სომხეთის მიმართულებით ვაჭრობის კუთხით.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალს“ 2012 წლიდან აქვს ღია ტიპის სასაწყობო საქმიანობის ნებართვა, რომელიც ექვემდებარება განახლებას წელიწადში ერთხელ.

„ფოთის მარცვლეულის ტერმინალს“ გაფორმებული აქვს გენერალური ხელშეკრულებები შვეიცარიულ კომპანია THE ANDERSONS-სთან. აგრეთვე ვმუშაობთ სხვადასხვა საერთაშორისო მარცვლეულის და შროტის მოვაჭრე კომპანიებთან, როგორიცაა BUNGE SA, ADM TRADING SA და სხვა.

„ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“ ბუღალტრული და მენეჯერული აღრიცხვისათვის იყენებს პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. გარდა ამისა, შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალს“ გააჩნია სპეციალურად შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა საშუალებას ერთი სამართავი პულტიდან მოხდეს ხორბლის მოძრაობა/მიღება/განაწილება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ტერმინალს აქვს საშუალება, რეალურ ონლაინ-ავტომატურ რეჟიმში გადასცეს ინფორმაცია საბაჟო სტრუქტურებს, მიღებული-გაცემული საქონლის რაოდენობის შესახებ.

კომპანიის ამონაგებმა 2022 წელს შეადგინა 189 146 957 ლარი, ხოლო 2021 წელს იყო 126 146 230 ლარი.

კომპანიის აქტივებმა 2022 წლის ბოლოს შეადგინა 47 622 487 ლარი, ხოლო 2021 წლის ბოლოს იყო 60 990 132 ლარი.

კომპანიის მოგება 2022 წელს შეადგინა 2 611 341 ლარი, 2020 წელს კი - 7 360 462 ლარი.

2022 წლის ხელფასების საერთო თანხამ შეადგინა 1 813 272 ლარი, ხოლო 2021 წელს იყო 1 398 041 ლარი.

2022 წლის პერიოდში, ბიუჯეტში გადაირიცხა 14 313 813 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს - 13 992 034 ლარი.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი თბილისში და ფოთში. კომპანიის საკუთრებაშია 5 ავტომობილი. შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალში“ 2022 წლის დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა იყო 73.

კომპანიის საკადრო პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომლებზე ზრუნვას და მათ წახალისებას, რაც ითვალისწინებს მუდმივმოქმედ ჯანმრთელობის დაზღვევას მათზე და მათი ოჯახის წევრებზე, სატელეკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფას, კომფორტულ სამუშაო გარემოს და ანაზღაურებად შვებულებას, რა დროსაც თანამშრომელს გადაეცემა ერთი ხელფასის ოდენობით დანამატი წელიწადში ერთხელ.

კომპანიას ჰყავს პროდუქციის ორი ძირითადი მიმწოდებელი, მათ შორის BUNGE ჯგუფი და The Andersons.

ძირითადი მომხმარებლები არიან:

- ხორბლის ნაწილში: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წისქვილები, მათ შორის: შპს „ჯეომილი“, შპს „გლობალ მილინგი“, შპს „ცერერა“, შპს „ბელელი“, შპს „ბარაქა“ და სხვა;
- შროტების ნაწილში - შპს „როსტერი“, შპს „ჩირინა“, შპს „პარტნიორი 2017“ და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი მეფრინველეობის და მეცხოველეობის ფერმები.

„ფოთის მარცვლეულის ტერმინალს“ გააჩნია ფოთის ცენტრალური ელექტრო ქვესადგურიდან გამოყვანილი საკუთარი მაღალი ძაბვის 4 კმ-იანი ხაზი, ხოლო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი სატრანსფორმატორო კვანძი 1000 კვტ-იანი სიმძლავრით.

რაც შეეხება გარემოსდაცვით ღონისძიებებს, „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ სპეციალურად მოაწყო ასპირაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული საქონლის მტვრის აკუმულირებას, რათა არ მოხდეს მისი გარემოში გაფრქვევა და მოსახლეობისათვის დაზიანების საფრთხის შექმნა. მომზადდა კომპანიის გარემოსდაცვითი ანგარიში და შევთანხმეთ აღნიშნული ფაქტი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან. დადგინდა სპეციალური კოეფიციენტები სხვადასხვა ოპერაციების წარმოების შემთხვევებში. კომპანია ცდილობს მკაცრად დაიცვას აღნიშნული კოეფიციენტები.

კომპანია ღებულობს საბაზრო კვლევებს მარცვლეულის და შროტების საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ვითარების შესახებ თავისი

მომწოდებლებისგან, კომპანია „ბუნგესგან“ და კომპანია „აგროლენდისგან“. აღნიშნული კვლევისაგან მიღებული ინფორმაცია მენეჯმენტს ეხმარება სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაში.

2023 წლისთვის, კომპანია გეგმავს მოიზიდოს ახალი ტიპის პროდუქტი, როგორცაა სოიოს მარცვლი და მოახდინოს მისი ტრანზიტული მიწოდება როგორც რეგიონული, ასევე - შუა აზიის ქვეყნების დანიშნულებით.

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის გამო სრულად შეიცვალა ხორბლის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რაც გამოიხატება შემდეგში, რომ ამჟამად რუსეთიდან ძირითადად ხორციელდება პირდაპირ ფქვილის იმპორტი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საწისქვილე ინდუსტრიას საქართველოში. შესაბამისად, პრაქტიკულად 0-ზეა დასული ხორბლის შესყიდვები.

ზემოაღნიშნულის გამო, 2022 წლის ახალი სეზონიდან, კომპანიას არსებითად შეუმცირდა ხორბლის სავაჭრო ოპერაციები. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომ 2021 წლის ახალი სასოფლო-სამეურნეო სეზონიდან, რუსეთის ფედერაციამ, რომელიც თავისი სიახლოვისა და ადგილმდებარეობის გამო საქართველოსთვის ხორბლის მთავარ მომწოდებელს წარმოადგენს, ხორბლის (და სხვა ნედლეულზე) ექსპორტზე დააწესა საბაჟო გადასახადი (ტონაზე 100\$-ის ფარგლებში, რაც ფასის დაახლოებით 30-35%-ს შეადგენს). ამასთან, იგივე გადასახადი არ შეახო ხორბლისგან წარმოებულ ფქვილს და ამ ქმედებით აშკარა გახადა თავისი მიზანი - გააძლიეროს ქვეყანაში შიდა ეკონომიკა და მეზობელ ქვეყნებს შესთავაზოს უკვე მზა პროდუქტი. აღნიშნული ვითარება, უკიდურესად უარყოფითად აისახა ჩვენი ქვეყნის საწისქვილე ინდუსტრიაზე და შედეგად, 2022 წლის ბოლოსთვის, პრაქტიკულად ყველა წისქვილქარხანამ შეაჩერა ფქვილის წარმოება. ქვეყნისთვის სტრატეგიული პროდუქტი ჩანაცვლდა ფქვილით, რომელიც არ წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტს, გამომდინარე თავისი ბუნებიდან: შეუძლებელია მისი 1 თვეზე მეტი შენახვა, შესაბამისად არ ხდება მარაგების გაკეთება და ნებისმიერ დროს შესაძლებელია ქვეყანაში შეიქმნას პურ-პროდუქტების დეფიციტი. ქვეყანამ დაკარგა სტრატეგიული ხორბლის მარაგის (რომელსაც იმთავითვე უზრუნველყოფდა კერძო ბიზნესი) დაგროვების და თავის დაზღვევის შესაძლებლობა. შესაბამისად, არ სრულდება სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO) მიერ დადგენილი რეკომენდაციები, რაც გულისხმობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის ქვეყანაში ხორბლის მინიმუმ 2 თვის მარაგის არსებობას.

კომპანიის სავალუტო რისკები ძირითადად დაზღვეულია კონტრაქტებით, რომლებშიც დაფიქსირებული ფასი მიბმულია უცხოური ვალუტის კურსზე.

კომპანიაში სესხების გადაუხდელობის რისკი არ დგას. სხვა რისკებს, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდონ კომპანიის მუშაობა უახლოეს პერიოდში, ვერ ვხედავთ.

კომპანიის პოლიტიკაა ითანამშრომლოს საქართველოში არსებულ ყველა მსხვილ საფინანსო ინსტიტუტთან, რაც საშუალებას გვაძლევს მოზიდული საბანკო რესურსი იყოს მაქსიმალურად მოქნილი და იაფი. გარდა ამისა, ასევე ჩართულები ვართ სახელმწიფო პროგრამებში (სოფლის მეურნეობის პროექტების აგროსესხის

ნაწილში), რომელიც გვეხმარება ვისარგებლოთ პრაქტიკულად უფასო გრძელვადიანი სასესხო რესურსებით.

კომპანიის მიერ 2022 წელს ფუნქციონირებაში გაშვებული ახალი მაღალტექნოლოგიური საწყობის მშენებლობა დაფინანსდა სწორედ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხია შროტის ბუნებრივი დანაკარგი. ქვეყანაში არ არის დადგენილი შროტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, რაც საგრძნობლად უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2021 წლის დასაწყისიდან დღემდე არაერთხელ მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს დანაკარგების დამდგენ დეპარტამენტს და მივაწოდეთ დოკუმენტალური მასალა, რათა კომისიის მუშაობისთვის ხელი შეგვეწყო. თუმცა, დღემდე ვერ განხორციელდა აღნიშნული ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ოდენობის დადგენა. ამის გამო კომპანია იძულებულია ბიუჯეტში გადაიხადოს დღგ და მოგების გადასახადი.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს ზემოხსენებულ რისკებზე დაკვირვებას და ანალიზს, რათა მცირე რისკის წარმოშობის შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება.

ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. სახელისუფლებო ორგანოებთან რაიმე სახის უთანხმოებები არ არსებობს.

2022 წელში საგადასახადო კონტროლისთვის კომპანია გადაიყვანეს მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტში. 2022 წელში ჩატარდა 2020 და 2021 კალენდარული წლის საგადასახადო აუდიტი. აუდიტი დასრულდა დამატებით დარიცხვების ნულოვანი შედეგით და ფოთის მარცვლეულის ტერმინალს მიენიჭა დაბალი რისკის მქონე გადამხდელის სტატუსი.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ დირექტორი
ქეთევან კუბლაშვილი

2023 წლის 29 ივნისი

შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

29 ივნისი, 2023 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2023 წლის 29 ივნისს:

დირექტორი

ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნათელა კალანდაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 926 938	1 120 121	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	8 545 913	12 611 602	3.2.
მარაგები	18 246 726	21 211 995	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	3 764 650	13 043 584	3.4.
საგადასახადო აქტივები	-	68 691	3.9.
სხვა მიმდინარე აქტივები	143 084	783 702	3.5.
მოკლევადიანი აქტივები სულ:	32 627 310	48 839 695	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	14 730 624	11 757 211	3.6.
არამატერიალური აქტივები	26 101	15 857	
გამოყენების უფლების მქონე აქტივი	238 451	189 383	3.7.
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	187 987	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	14 995 177	12 150 437	
აქტივები სულ:	47 622 487	60 990 132	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	2 036 943	5 161 260	3.8.
საგადასახადო ვალდებულებები	99 654	-	3.9.
მოკლევადიანი სესხები	30 391 157	36 060 536	3.10.
სახელმწიფო ვალდებულებები	215 253	1 206 840	3.15.
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5 233	5 087	3.11.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	32 748 241	42 433 722	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	4 717 773	4 055 573	3.12.
გადავადებული შემოსავალი	-	500 000	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	3 172 048	3 172 048	3.13.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	7 889 821	7 727 622	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	3.14.
დაგროვილი მოგება	6 984 425	10 828 789	
კაპიტალი სულ:	6 984 425	10 828 789	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	47 622 487	60 990 132	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის რაოდენობით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	189 146 957	126 146 230	3.15.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(174 679 666)	(110 669 061)	3.16.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	14 467 291	15 477 169	
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	(4 135 324)	(2 318 633)	3.17.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 985 577)	(1 639 273)	3.18.
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2 638 558)	(2 116 229)	3.19.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 707 832	9 403 034	
ფინანსური შემოსავალი	236	-	
ფინანსური ხარჯი	(3 752 834)	(2 173 882)	3.20.
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	3 733 120	(24 254)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 807 824	842 919	3.21.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(4 335 492)	(550 608)	3.22.
მოგება დაბეგვრამდე	3 160 686	7 497 208	
მოგების გადასახადის ხარჯი	(549 345)	(136 745)	
წლის წმინდა მოგება	2 611 341	7 360 462	
წლის სრული შემოსავალი	2 611 341	7 360 462	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი

ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოდგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2020-სთვის	6 157 731	6 157 731
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	7 360 462	7 360 462
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 518 193	13 518 193
განაწილებული დივიდენდი	(2 689 404)	(2 689 404)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	(2 689 404)	(2 689 404)
ნაშთი 31.12.2021-სთვის	10 828 789	10 828 789
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	2 611 341	2 611 341
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 440 130	13 440 130
განაწილებული დივიდენდი	(6 455 705)	(6 455 705)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	(6 455 705)	(6 455 705)
ნაშთი 31.12.2022-სთვის	6 984 425	6 984 425

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	199 248 175	130 725 492	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	544 119	92 974	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(167 633 309)	(114 310 185)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1 360 354)	(981 340)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	1 439	(2 058)	
გადახდილი გადასახადები	(14 313 813)	(13 992 034)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1 363 059)	(756 315)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	15 123 199	776 535	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(4 901 955)	(6 070 765)	
მიღებული პროცენტები	236	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 901 719)	(6 070 765)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	96 710 885	103 315 576	
სესხების დაფარვა	(96 602 623)	(97 428 154)	
გადახდილი პროცენტები	(2 979 735)	(1 896 015)	3.23.
გადახდილი დივიდენდები	(6 300 056)	(2 650 660)	
მიღებული გრანტები	-	500 000	
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები	(6 000)	(112 286)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(9 177 529)	1 728 462	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(237 134)	(19 416)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	806 816	(3 585 184)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1 120 121	4 705 305	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 926 938	1 120 121	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია:

დირექტორი ----- ქეთევან კუბლაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ნათელა კალანდაძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან მე-40 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ნაწილში), რომელიც გვეხმარება ვისარგებლოთ პრაქტიკულად უფასო გრძელვადიანი სასესხო რესურსებით.

კომპანიის მიერ 2022 წელს ფუნქციონირებაში გაშვებული ახალი მაღალტექნოლოგიური საწყობის მშენებლობა დაფინანსდა სწორედ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხია შროტის ბუნებრივი დანაკარგი. ქვეყანაში არ არის დადგენილი შროტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, რაც საგრძნობლად უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2021 წლის დასაწყისიდან დღემდე არაერთხელ მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს დანაკარგების დამდგენ დეპარტამენტს და მივაწოდეთ დოკუმენტალური მასალა, რათა კომისიის მუშაობისთვის ხელი შეგვეწყო. თუმცა, დღემდე ვერ განხორციელდა აღნიშნული ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ოდენობის დადგენა. ამის გამო კომპანია იძულებულია ბიუჯეტში გადაიხადოს დღგ და მოგების გადასახადი.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს ზემოხსენებულ რისკებზე დაკვირვებას და ანალიზს, რათა მცირე რისკის წარმოშობის შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება.

ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. სახელისუფლებო ორგანოებთან რაიმე სახის უთანხმოებები არ არსებობს.

2022 წელში საგადასახადო კონტროლისთვის კომპანია გადაიყვანეს მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტში. 2022 წელში ჩატარდა 2020 და 2021 კალენდარული წლის საგადასახადო აუდიტი. აუდიტი დასრულდა დამატებით დარიცხვების ნულოვანი შედეგით და ფოთის მარცვლეულის ტერმინალს მიენიჭა დაბალი რისკის მქონე გადამხდელის სტატუსი.

შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ დირექტორი
ქეთევან კუბლაშვილი

2023 წლის 29 ივნისი

